

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

N 687

2005 წლის 8 აგვისტო

ქ.თბილისი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი
ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის
დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა თანდართული ნუსხა.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია

საქართველოს პრეზიდენტის

2005 წლის „ 8 “ აგვისტოს

N 687 ბრძანებულებით

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის
გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების
სახეობათა ნუსხა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების (მათ შორის, ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციები და წილები) სახეობებია:

1. ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, რომლის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შენობა-ნაგებობები, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად.

2. დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები, ნაპირსამაგრი ნაგებობები.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე

განათების კონსტრუქციები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები. (9.10.2009 N 701)

4. ამოღებულია (17.07.2006 N431)

5. ამოღებულია (17.07.2006 N431)

6. ამოღებულია (17.07.2006 N431)

7. ამოღებულია (17.07.2006 N431)

8. ამოღებულია (24.09.2007 N534)

9. ამოღებულია (24.09.2007 N534)

10. ხანძარსაწიგააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების (თავშესაფრების) განთავსებისათვის აუცილებელი ობიექტები. (9.10.2009 N 701)